ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

№ 4-1/დ 1123-18

"15" 06 2018 წ.

დადგენილება №001274
სამშენებლო სამართალდარღვევის
საქმეზე

15.06.2018წ. ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7

მე, სამსახურის უფროსის მოადგილემ მამუკა ჯაფელმა განვიხილე 2018 წლის 16 თებერვლის №001274 შემოწმების აქტი "სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოების დაწყების შესახებ", შედგენილი **შ.პ.ს. "ბუმ გრუპი"-ს** (ს.კ. №406183400, მის.: ქ. თბილისი, ისანი-სამგორის რაიონი, საქიმოს გასასვლელი, №1, სადარბაზო №1, სართული 11) მიმართ საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 26-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად და **გამოვარკვიე:**

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ 2016 წლის 20 აპრილს მიღებული დადგენილებით №4-1/დ497-17 №000904 "სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე", შ.პ.ს. "ბუმ გრუპი", ქ. თბილისში, თენგიზ ჩანტლაძის I შესახვევი №14, ს.აკ. კოდი №01.19.17.001.061-ზე, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ს.ს.ი.პ. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის №3000429 AR1461307 15.12.2016წ. ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით ქარხნის მშენებლობისათვის დაჯარიმდა 4000 (ოთხი ათასი) ლარით.

ვინაიდან, შ.პ.ს. "ბუმ გრუპი"-ს მიერ არ იქნა აღმოფხვრილი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2016 წლის 20 აპრილის №4-1/ დ497-17 №000904 "სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე" დადგენილებით დაკისრებული ჯარიმის სამართლებრივი საფუძვლები," 2018 წლის 16 თებერვალს საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25-ე მუხლის 23-ე ნაწილის "დ" პუნქტის შესაბამისად, სამსახურის სპეციალისტის მიერ შედგენილ იქნა №001274 შემოწმების აქტი "სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოების დაწყების შესახებ", რომელიც მხარეს პირადად ჩაბარდა 2018 წლის 19 თებერვალს.

ქ. თბილისი 0160, ჟ. შარტავას ქუჩა №7, ტელ.: (+995 32) 2 378 501, 2 378 396

2018 წლის 22 მარტს, მოცემულ საქმესთან დაკავშირებით გაიმართა საქმის განხილვა. საქმის განხილვის თარიღის შესახებ სათანადო წესით ეცნობა მხარეს. საქმის განხილვაზე გამოცხადდა შ.პ.ს. "ბუმ გრუპი"-ს დირექტორი გიორგი გოდერძიშვილი (პირადი №01010013454), რომელმაც დაადასტურა შემოწმების აქტის ჩაბარება და განაცხადა, რომ 20 აპრილის №4-1/დ497-17 №000904 დადგენილებით დაკისრებული ჯარიმა გადახდილია. მანვე განაცხადა, რომ პროექტის კორექტირების მიზნით, AR1456882 განაცხადით მიმართული აქვთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ს.ს.ი.პ. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურისათვის და აპირებენ დარღვევის აღმოფხვრას, რისთვისაც ითხოვეს მაქსიმალური ვადა.

საქმეშია, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2018 წლის 16 აპრილის №4-3/46-გ/18 ბრძანება "სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე განხილვის ვადის გაგრძელების შესახებ", რომლითაც საქმის განხილვის ვადა გაგრძელებულ იქნა 2018 წლის 16 აპრილიდან 2018 წლის 16 ივნისამდე.

2018 წლის 31 მაისს, მოცემულ საქმესთან დაკავშირებით კვლავ გაიმართა საქმის განხილვა. საქმის განხილვის თარიღის შესახებ სათანადო წესით ეცნობა მხარეს. საქმის განხილვაზე გამოცხადდა შ.პ.ს. "ბუმ" გრუპი-ს დირექტორი გიორგი გოდერძიშვილი (პირადი №01010013454), რომელმაც განაცხადა, რომ მიმდინარეობს დარღვევების გამოსწორება, კერძოდ პროექტის კორექტირება AR1590061 განაცხადის საფუძველზე.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მთ. სპეციალისტის 2018 წლის 15 ივნისის მოხსენებითი ბარათით ირკვევა, რომ შ.პ.ს. "ბუმ გრუპი"-ს მიერ არ იქნა აღმოფხვრილი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2016 წლის 20 აპრილის №4-1/დ497-17 №000904 "სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე" დადგენილებით დაკისრებული ჯარიმის სამართლებრივი საფუძვლები. საქმეშია ობიექტის ამსახველი ფოტომასალა.

ვინაიდან, შ.პ.ს. "ბუმ გრუპი"-ს მიერ არ აღმოფხვრილა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2016 წლის 20 აპრილის №4-1/დ497-17 №000904 "სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე" დადგენილებით დაკისრებული ჯარიმის სამართლებრივი საფუძვლები, საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 26-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, ჯარიმის დაკისრების სამართლებრივი საფუძვლების აღმოუფხვრელობის შემთხვევაში, ჯარიმის დაკისრებიდან ყოველი სამი თვის შემდეგ, დამრღვევი ჯარიმდება დაკისრებული ჯარიმით გათვალისწინებული საჯარიმო თანხის სამმაგი ოდენობის თანხით,

ვიხელმძღვანელე რა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IV თავით, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებით "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ", საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 25-ე მუხლის მე-9 ნაწილის "ა" პუნქტით, 25-ე მუხლის მე-18 ნაწილით, 25-ე

მუხლის 21-ე ნაწილით, 25-ე მუხლის 22-ე ნაწილით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილითა და 26-ე მუხლის მე-4 ნაწილით და **დავადგინე:**

1. **შ.პ.ს. "ბუმ გრუპი"** დაჯარიმდეს 12000 (თორმეტი ათასი) ლარით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2016 წლის 20 აპრილის №4-1/დ497-17 №000904 "სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე" დადგენილებით დაკისრებული ჯარიმის სამართლებრივი საფუძვლების აღმოუფხვრელობის გამო.

2. **შ.პ.ს. "ბუმ გრუპი"**-ს დაევალოს ჯარიმა გადაიხადოს ბიუჯეტის სასარგებლოდ არაუგვიანეს 30 დღისა:

საჯარიმო თანხა ჩაირიცხოს შემდეგ ანგარიშზე - **მიმღების დასახელება:** ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო, **მიმღების ბანკი:** სახელმწიფო ხაზინა, **ბანკის კოდი:** თღ შ 22, **საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: 300773263, გადახდის დანიშნულება:** დადგენილების ნომერი სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე.

3. საჯარიმო თანხის ნებაყოფლობით გადახდის შემთხვევაში, **შ.პ.ს. "ბუმ გრუპი"**-ს დაევალოს შესაბამისი გადახდის ქვითრის წარმოდგენა.

4. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 26-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, ჯარიმის დაკისრების სამართლებრივი საფუძვლების აღმოუფხვრელობის შემთხვევაში, ჯარიმის დაკისრებიდან ყოველი სამი თვის შემდეგ, დამრღვევი დაჯარიმდება დაკისრებული ჯარიმით გათვალისწინებული საჯარიმო თანხის სამმაგი ოდენობის თანხით, რომელიც დამრღვევს შეიძლება დაეკისროს არა უმეტეს სამჯერ.

5. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს, მისი გაცნობიდან (ჩაბარებიდან /განთავსებიდან) 15 დღის ვადაში ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (ქ. თბილისში, ჟ. შარტავას ქ. №7).

სამსახურის უფროსის მოადგილე **მამუკა ჯაყელი**

საგადახდო დავალება
Payment Order

1522738718 | GEL | ს.ს. "თიბისი ბანკი"

თარიღი / Date 03/04/2018

გადამხდელი / Sender

შპს ბუმ გრუპი, 406183400

რეფერენსი / Ref. Num.

1987241196

გადამხდელის ანგარიში / Sender's Account: GE86TB7883836060100001

თანხა / Amount

4,000.00 GEL

გადამხდელის ბანკი / Sender's Bank: *სს თიბისი ბანკი*

ბანკის კოდი / Bank Code: *TBCBGE22*

ინფორმაცია პირზე, რომლის მაგივრადაც სრულდება გადახდა
Information on a person on behalf of whom the payment is made

დასახელება / Name: *შპს ბუმ გრუპი, 406183400*

საიდენტიფიკაციო კოდი / Sender's Tax Code: 406183400

თანხა სიტყვიერად
Amount in words

ოთხი ათასი ლარი და 00 თეთრი

მიმღები / Receiver

ხაზინის ერთიანი ანგარიში. სხვა შემოსულობები (თვითმმართველი ქალაქი თბილ

მიმღების ანგარიში / სახაზინო კოდი Receiver's Acc./ Treasury Code: 300773263

მიმღების ბანკი / ხაზინა Receiver's Bank / Treasury: *ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური*

ბანკის კოდი / Bank Code: *TRESGE22*

ბანკში საგადახდო დავალების მიღების/წარდგენის თარიღი
Document submission/receiving date

03/04/2018

გადახდის დანიშნულება / Operation Details

შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) არქიტექტურულ - სამშენებლო საქმიანობაში გამოვლენილი დარღვევის გამო

დამატებითი ინფორმაცია / Additional Information

დადგენილება N-003355 სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე

ხელმოწერა
Signature

დასტური ინტერნეტ ბანკით
თიბისი ბანკი TBC BANK
PRINTED VIA INTERNET BANKING

ხელმოწერები
Signatures

ბ.ა.

ამ დოკუმენტის ხელმოწერით კლიენტი ადასტურებს, რომ: დეტალურად იცნობს სს "თიბისი ბანკის" ფილიალებსა და ინტერნეტ გვერდზე www.tbcbank.ge განთავსებულ საბანკო ოპერაციების წარმოების შესახებ ხელშეკრულების პირობებს (ამ ხელშეკრულებაში შეტანილ ყველა ცვლილებასა და დამატებას) და ეთანხმება მათ, რითაც უერთდება ზემოხსენებულ ხელშეკრულებას.

საგადახდო დავალება
Payment Order

1513241980

GEL

ს.ს. "თიბისი ბანკი"

თარიღი / Date 14/12/2017

რეფერენსი / Ref. Num.

1845651974

გადამხდელი / Sender

შპს ბუმ გრუპი, 406183400

გადამხდელის ანგარიში / Sender's Account GE86TB7883836060100001

თანხა / Amount

1,533.70 GEL

გადამხდელის ბანკი / Sender's Bank

სს თიბისი ბანკი

ბანკის კოდი / Bank Code

TBCBGE22

თანხა სიტყვიერად
Amount in words

ერთი ათას ხუთას ოცდაცამეტი ლარი და 70 თეთრი

ინფორმაცია პირზე, რომლის მაგივრადაც სრულდება გადახდა
Information on a person on behalf of whom the payment is made

დასახელება / Name გიორგი გოდერძიშვილი

საიდენტიფიკაციო კოდი / Sender's Tax Code 01010013454

მიმღები / Receiver

ხაზინის ერთიანი ანგარიში. სხვა შემოსულობები (თვითმმართველი ქალაქი თბილ

მიმღების ანგარიში / სახაზინო კოდი Receiver's Acc./ Treasury Code 300773090

ბანკში საგადახდო დავალების მიღების/წარდგენის თარიღი

Document submission/receiving date

14/12/2017

მიმღების ბანკი / ხაზინა Receiver's Bank / Treasury

ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური

ბანკის კოდი / Bank Code

TRESGE22

გადახდის დანიშნულება / Operation Details

მოსაკრებელი მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის, რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) ნებართვაზე

ხელმოწერა
Signature

დამატებითი ინფორმაცია / Additional Information

ნომერი AR1559504BP

დაცულია ინტერნეტ ბანკით
თიბისი ბანკი TBC BANK
PRINTED VIA INTERNET BANKING

ხელმოწერები
Signatures

ამ დოკუმენტის ხელმოწერით კლიენტი ადასტურებს, რომ: დეტალურად იცნობს სს "თიბისი ბანკის" ფილიალებსა და ინტერნეტ გვერდზე www.tbcbank.ge განთავსებულ საბანკო ოპერაციების წარმოების შესახებ ხელშეკრულების პირობებს (ამ ხელშეკრულებაში შეტანილ ყველა ცვლილებასა და დამატებას) და ეთანხმება მათ, რითაც უერთდება ზემოხსენებულ ხელშეკრულებას.

XII.2017

მე, არქიტექტორი თორნიკე დვალი (01024040140), თანახმა ვარ გადავცე საავტორო უფლებები არქიტექტორ ვალერიან დუდუჩავას (62001039450) ჩემს მიერ დაპროექტებულ უალკოჰოლო სასმელების ქარხნის პროექტზე რომელიც მდებარეობს ქ.თბილისში, ორხევის სამრეწველო ზონაში (ნაკვ. 01.19.17.001.061) მისი შემდგომი გადაკეთების მიზნით, რასაც ვადასტურებ ჩემი ხელმოწერით

თ.დვალი (01024040140)

სააქციო საზოგადოება **“შოდა”**
joint-stock company “SHODA”

შ.პ.ს „ბუმ გრუპ“-ს

ს.ს. „შოდა“, ს/კ 202886145, თანახმაა შ.პ.ს. „ბუმ გრუპ“-მა, ს/კ 406183400, აწარმოოს მშენებლობა მის საკუთრებაში არსებულ ნაკვეთებზე 01.19.17.001.060 (ნაკვეთის წინა ნომერი 01.19.17.001.047), 01.19.17.001.061 (ნაკვეთის წინა ნომერი 01.19.17.001.047) და 01.19.17.001.058 (ნაკვეთის წინა ნომერი 01.19.17.001.048), ასევე განახორციელოს მშენებლობასთან დაკავშირებით ყველა საჭირო ქმედება (ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურთან შეათანხმოს პროექტი, აიღოს მშენებლობის ნებართვა, შესაბამის ორგანიზაციებს ჩაატარებინოს საპროექტო და გეოლოგიურ-საძიებო სამუშაოები, პროექტის ექსპერტიზა, აწარმოოს სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები და ა.შ.).

სს „შოდა“-ს

დირექტორი,

ნიკოლოზ ტატიშვილი

ნინოშვილის ქ. №69,თბილისი, 0112
ტელ. ფაქსი. +995/32954773, 952584, 950814
ss.shoda@yahoo.com

№69 Ninoshvili str. 0112, Tbilisi, georgia
tel. fax. +995/32954773, 952584, 950814
ss.shoda@yahoo.com

სს „შოდა“-ს სამეთალყურეო საბჭოს გადაწყვეტილება

ქ. თბილისი 4 აგვისტო 2016 წელი

2016 წლის 4 აგვისტოს ჩატარდა სს „შოდას“ (საიდენტიფიკაციო # 202886145) სამეთალყურეო საბჭოს სხდომა რომელსაც ესწრებოდნენ შემდეგი წევრები:

1. წევრი: ირაკლი რეხვიაშვილის (პ/ნ: 01017003751) წარმომადგენელი მზეხათუნი ფხალაძე (პ/ნ: 01017017598);
2. წევრი: მზეხათუნი ფხალაძე (პ/ნ: 01017017598);
3. წევრი: ვარლამი რეხვიაშვილის (პ/ნ:01017012605) წარმომადგენელი მზეხათუნი ფხალაძე (პ/ნ: 01017017598);

დღის წესრიგი:

1. შ.პ.ს „ბუმ გრიპი“-სავის თანხმობის მიცემა;

გადაწყვეტილება:

1. სს „შოდა“ თანახმაა შ.პ.ს „ბუმ გრიპი“-მა ს/კ 406183400 ქ.თბილისის არქიტექტურის სამსახურთან შეათანხმოს არქიტექტურული პროექტი, აიღოს მშენებლობის ნებართვა და აწარმოოს მშენებლობა მის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე მდებარე მისამართზე, ქ.თბილისი, ორხევის სამრეწველო ზონა ს/კ 01.19.17.001.047 და ს/კ 01.19.17.001.058;

2. ნება მიეცეს სს „შოდას“ დირექტორს ან შესაბამისი მინდობილობა/რწმუნებულების საფუძველზე წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირს შესაბამისი გადაწყვეტილებ(ებ)ის შესასრულებლად ყველა საჭირო ქმედების განხორციელების;

ვარლამ რეხვიაშვილის სახელით _____

ირაკლი რეხვიაშვილის სახელით _____

მზეხათუნ ფხალაძე _____

ორი ათას თექვსმეტი წლის თორმეტ დეკემბერს მე, ნოტარიუს მაია ბიგვავას, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, რუსთაველის გამზ.№26, მომმართა **მზეხათუნ ფხალაძემ** (დაბადებული 19.10.1944წ. პირადი №01017017598, მცხოვრები: **თბილისი შ.რუსთაველის გამზ. N 37**.). მან წარმოადგინა წინამდებარე დოკუმენტი და მოითხოვა მასზე თავისი ხელმოწერის სანოტარო წესით დამოწმება. მე შევამოწმე **მზეხათუნ ფხალაძის** პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის საფუძველზე და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად **მზეხათუნ ფხალაძემ** მომმართა.

მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონია. **მზეხათუნ ფხალაძეს** ჩემს, ნოტარიუსის მიერ, განემარტა: 1) წინამდებარე დოკუმენტზე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები; 2) წინამდებარე სანოტარო მოქმედებით ნოტარიუსი პასუხს არ აგებს დოკუმენტის შინაარსზე და ამოწმებს მხოლოდ და მხოლოდ ხელმოწერის ნამდვილობას. **მზეხათუნ ფხალაძემ** ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი წინამდებარე დოკუმენტს.

წინამდებარე სანოტარო მოქმედება შესრულებულია ორ ეგზემპლარად, ამასთან დოკუმენტის თითოეულ ეგზემპლარზე მისი ხელმოწერა შესრულებულია სამჯერ.

სანოტარო მოქმედების შესრულებისათვის გადახდევინებულია საზღაური 16.16 ლარი. მათ შორის 12,0 ლარი „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის №507 დადგენილების 31-ე მუხლის საფუძველზე, სარეგისტრაციო მოსაკრებელი 2 (ორი) ლარი (დღგ-ს ჩათვლით) ამავე დადგენილების 39-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, ხოლო 2.16 ლარი–დღგ, თანახმად, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169–ე მუხლისა.

ნოტარიუსი მაია ბიგვავა

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N161408908
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	12.12.2016 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება
ნოტარიუსი	მაია ბიგვავა
სანოტარო ბიუროს მისამართი	ქ. თბილისი, რუსთაველის გამზირი #26
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	2999620, 2932317
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	70424824319416

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
მერიის
ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

№ ს-1/04934-17

"20" 04 2017 წ.

დადგენილება №000904
სამშენებლო სამართალდარღვევის
საქმეზე

20.04.2017წ. ქ. თბილისი, შარტავას 7

მე, სამსახურის უფროსის პირველმა მოადგილემ მამუკა ჯაყელმა განვიხილე 2017 წლის 20 აპრილის №000904 შემოწმების აქტი "სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოების დაწყების შესახებ", შედგენილი **შ.პ.ს. "ბუმ გრუპი"-ს** (საიდენტიფიკაციო კოდი №406183400, დირ. გიორგი გოდერძიშვილი, პირადი №01010013454, მის: ქ. თბილისი, საქჩიმოს გასასვლელი, №1, სადარბაზო №1, XI სართული) მიმართ საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 45-ე მუხლის (სანებართვო პირობების დარღვევა ან/და შეუსრულებლობა) 1-ლი ნაწილის "ა" პუნქტის "ა.გ." ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დარღვევაზე და **გამოვარკვიე:**

ქ. თბილისში, სამგორი, ორხევის სამრეწველო დასახლება, საკ. კოდი №01.19.17.001.061-ში შ.პ.ს. "ბუმ გრუპი"-ს მიერ განხორციელდა ქარხნის მშენებლობა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის №3000429 AR1461307 15.12.2016წ. ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით: შეცვლილია ღიობების გაბარიტი, ნახატი, ადგილმდებარეობა და ნახატი. შეცვლილია ლითონის კონსტრუქციული დეტალები და დამატებულია ჯვარედინა კონსტრუქციები. „A-C" ფასადზე პროფნასტილს მონაცვლებული აქვს ადგილი, ნაწილობრივ შეცვლილია ფასადის ფორმა და ფერი. სახურავზე დამატებულია ღიობები. „3-1" ფასადის მხრიდან დამატებულია ლითონის კონსტრუქციები.

2017 წლის 20 აპრილს საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25-ე მუხლის 23-ე ნაწილის "ზ" პუნქტის საფუძველზე, სამსახურის სპეციალისტის მიერ შედგა შემოწმების აქტი №000904 "სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოების დაწყების შესახებ." საქმეშია, მხარის №10/01170231584-17 23.01.2017წ. წერილი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შ.პ.ს. "ბუმ გრუპი"-ს მიერ ჩადენილია საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 45-ე მუხლის (სანებართვო პირობების დარღვევა ან/და შეუსრულებლობა) 1-ლი ნაწილის "ა" პუნქტის "ა.გ." ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამშენებლო სამართალდარღვევა, კერძოდ, ქ. თბილისში, სამგორი, ორხევის სამრეწველო დასახლება, საკ. კოდი №01.19.17.001.061-ში შ.პ.ს. "ბუმ გრუპი"-ს მიერ განხორციელდა ქარხნის მშენებლობა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის №3000429 AR1461307 15.12.2016წ. ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით.

ვიხელმძღვანელე რა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IV თავით, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებით "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ", საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 25-ე მუხლის მე-9 ნაწილის "ა" პუნქტით, 25-ე მუხლის მე-18 ნაწილით, 25-ე მუხლის 21-ე ნაწილით, 25-ე მუხლის 22-ე ნაწილით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილითა და 45-ე მუხლის 1-ლი ნაწილის "ა" პუნქტის "ა.გ" ქვეპუნქტით

დავადგინე:

1. შ.პ.ს. "ბუმ გრუპი" დაჯარიმდეს 4000 (ოთხიათასი) ლარით პროექტის დარღვევით IV კლასის შენობა-ნაგებობის მშენებლობისათვის;

2. შ.პ.ს. "ბუმ გრუპი"-ს დაევალოს, საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 26-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, ჯარიმა გადაიხადოს ბიუჯეტის სასარგებლოდ დაჯარიმების შესახებ დადგენილების ჩაბარებიდან 30 დღეში: საჯარიმო თანხა ჩაირიცხოს შემდეგ ანგარიშზე - მიმღების დასახელება: ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო, მიმღების ბანკი: სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი: **TRESGE22,** საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: **300773263,** გადახდის დანიშნულება: დადგენილების ნომერი სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე.

3. საჯარიმო თანხის ნებაყოფლობით გადახდის შემთხვევაში, შ.პ.ს. "ბუმ გრუპი"-ს დაევალოს, შესაბამისი გადახდის ქვითრის წარმოდგენა;

4. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25-ე მუხლის მე-10 ნაწილის შესაბამისად, "დამრღვევის მიერ დაკისრებული ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანო იღებს დადგენილებას საურავის დაკისრების შესახებ", ხოლო საქართველოს "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 26-ე მუხლის მე-2 ნაწილით, დაკისრებული ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში, დადგენილების ჩაბარებიდან 30 დღეში დადგენილებით განსაზღვრული საჯარიმო თანხის ოდენობით;

5. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 26-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, ჯარიმის დაკისრების სამართლებრივი საფუძვლების აღმოუფხვრელობის შემთხვევაში, ჯარიმის დაკისრებიდან ყოველი სამი თვის შემდეგ, დამრღვევი დაჯარიმდება წინა ჯარიმით გათვალისწინებული საჯარიმო თანხის სამმაგი ოდენობით, რომელიც დამრღვევს შეიძლება დაეკისროს არაუმეტეს სამჯერ.

6. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს, მისი გაცნობიდან (ჩაბარებიდან /განთავსებიდან) 15 დღის ვადაში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მის: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7);

სამსახურის უფროსის
პირველი მოადგილე მ. ჯაყელი

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

თბილისი, 0160, შარტავას ქ. 7 ტელ: 2378501, 2378396

შემოწმების აქტი № 000904

(სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოების დაწყების შესახებ)

შედგენის თარიღი: 20.04.17

საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი" 25-ე მუხლის 23-ე ნაწილის თანახმად, სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოების შემოწმების აქტის შედგენით იწყება შემდეგი შემთხვევის გამო:

ა) მშენებლობის დემონტაჟის დაუყოვნებლივ შეჩერების შესახებ დადგენილების მიღებისას;

ბ) მშენებლობის შეჩერების შესახებ სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოს დადგენილების შეუსრულებლობისას;

გ) დამრღვევისთვის საურავის შესახებ დადგენილების მიღებისას;

დ) დამრღვევის საჯარიმო თანხის სამმაგი ოდენობის თანხით დაჯარიმებისას;

ე) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში მშენებლობადამთავრებული ობიექტის ექსპლუატაციაში მისაღებად განცხადების წარმოუდგენლობისას;

ვ) თუ დამრღვევი განცხადების საფუძველზე აღიარებს სამშენებლო ობიექტზე არსებულ დარღვევებს და ითხოვს კანონით დადგენილი ზომების გატარებას.

დამრღვევის დასახელება და მისამართი: შპს "[illegible]" 406183400 [illegible] 11 [illegible] 01010013154

ობიექტის დასახელება და მისამართი: [illegible] 01.19.17.001.061

შემოწმებით დადგინდა: [illegible] №3002129 15.12.2016წ. [illegible] №000901 [illegible]

შემოწმების აქტის შემდგენი (თანამდებობა, სახელი, გვარი, ხელმოწერა):

_____

შემოწმების აქტი ჩაიბარა (სახელი, გვარი, მიღების თარიღი, ხელმოწერა):

_____

თუ ვერ ხერხდება მხარისათვის შემოწმების აქტის გაცნობა (პირადად ჩაბარება), გაცნობად (ჩაბარებად) ჩაითვალოს მათი განთავსება შემოწმების აქტში მითითებული ობიექტის თვალსაჩინო ადგილზე (საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი" 25-ე მუხლის მე-19 ნაწილი).

შემოწმების აქტი გაეცნო (ჩაბარდა) დამრღვევს თვალსაჩინო ადგილზე განთავსების გზით. (ზუსტად მიეთითოს თვალსაჩინო ადგილი).

_____

_____

_____

განთავსების თარიღი

№000904 შემოწმების აქტის დანართი

შეცვლილია ღიობების გაბარიტი, ნახატი, ადგილმდებარეობა და ნახატი.

შეცვლილია ლითონის კონსტრუქციული დეტალები და დამატებულია ჯვარედინა კონსტრუქციები.

„A-C" ფასადზე პროფნასტილს მონაცლვებული აქვს ადგილი ნაწილობრივ შეცვლილია ფასადის ფორმა და ფერი.

სახურავზე დამატებულია ღიობები.

„3-1" ფასადის მხრიდან დამატებულია ლითონის კონსტრუქციები.

მთავარი სპეციალისტი ---------- კ. გიორგობიანი
დანართი ჩაიბარა (სახელი, გვარი, მიღების თარიღი, ხელმოწერა)

ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის მერია

tbilisi.gov.ge ცხელი ხაზი - (+995 32) 2722222

ნომერი: 19/01171872441-17
თარიღი: 06.07.2017 15:07
ვადა: 16.08.2017

განმცხადებელი (დაინტერესებული პირი)

გიორგი გოდერძიშვილი პირადი ნომერი: 01010013454
მისამართი: თბილისი შ.ნუცუბიძის ქ. N 211 კორ. 2 ბ. 15
საკონტაქტო ინფორმაცია: 599720051;
რეგიონი: თბილისი/ვაკე

განცხადება/ნომენკლატურა

ზედამხედველობის საქალაქო სამსახური
საჯარიმო სანქციები
ჯარიმის ქვითის წარმოდგენა

მოთხოვნის ტექსტი

წარმოადგინა გადახდის ქვითარი

დამატებითი ინფორმაცია

- ფურცლების რაოდენობა: 2
- დანართი: -
- პასუხის გაგზავნა ფოსტით: არა

გავეცანი, თანახმა ვარ ჩემი პერსონალური მონაცემები დამუშავებული იქნეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ

ხელმოწერა: _____

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
№ 19/01171872441-17
06.07.2017 : 15:07
ქ. თბილისი, ჯ.შარტავას ქ. №7